საქართველო
GEORGIA

გარემოს დაცვისა და
სოფლის მეურნეობის
სამინისტრო

MINISTRY OF ENVIRONMENTAL
PROTECTION AND AGRICULTURE
OF GEORGIA

N 9928/01
21/10/2020

9928-01-2-202010210958

ფიზიკურ პირ მანუჩარ ირემაძეს (პ/ნ 33001080411)
მის: წალკის მუნიციპალიტეტი, სოფ. განთიადი

ბატონო მანუჩარ,

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა თქვენი 2020 წლის 5 ოქტომბრის N 15649 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება წალკის მუნიციპალიტეტში, სოფ. განთიადში ავტოგასამართი სადგურის (ნავთობპროდუქტების საცავის) მოწყობასა და ექსპლუატაციას.

სკრინინგის განცხადების თანახმად, საქმიანობის განხორციელება იგეგმება წალკის მუნიციპალიტეტში, სოფელ განთიანდში (ს/კ 85.21.22.499). მონაცემთა ელექტრონული გადამოწმებით დგინდება, რომ აღნიშნული ნაკვეთი წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწას, ამასთან მდებარეობს წალკის მუნიციპალიტეტის სოფელ ტბეთში (ხადიკი). შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის შესახებ ინფორმაცია. ავტოგასამართი სადგურის (ნავთობპროდუქტების საცავის) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე მიწის ნაკვეთზე მოწყობა დაუშვებელია.

ამასთან გაცნობებთ, რომ თქვენ მიერ წარმოდგენილ სკრინინგის განცხადებაში არ არის მოცემული და დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობასთან დაკავშირებული სხვადასხვა საკითხები, კერძოდ:

- ინფორმაცია დაგეგმილი სამშენებლო სამუშაოების შესახებ, ასევე მშენებლობისა და ექსპლუატაციის ეტაპზე წარმოქმნილი ნარჩენების (საყოფაცხოვრებო, სახიფათო, სამშენებლო) და მათი შემდგომი მართვის შესახებ;
- ინფორმაცია ნიადაგის ნაყოფიერ ფენაზე და გრუნტზე ზემოქმედებისა და მისი შემდგომი მართვის შესახებ;
- ინფორმაცია ავტოგასამართი სადგურის სამუშაო რეჟიმისა და მომსახურე პერსონალის რაოდენობის შესახებ;
- ინფორმაცია სანიაღვრე წყლების მართვის შესახებ;

- ინფორმაცია საწვავის დაღვრის შემთხვევაში მათი მართვის შესახებ (დაგეგმილია თუ არა ნავთობდამჭერის მოწყობა);
- სკრინინგის განცხადების თანახმად, ავტოგასამართი სადგურის ტერიტორიაზე და მის უშუალო სიახლოვეს ფიქსირდება სამი ფიჭვის ხე, თუმცა არ არის მოცემული ინფორმაცია იმის შესახებ, იგეგმება თუ არა მათი მოჭრა ან/და ხე-მცენარეულ საფარზე ზემოქმედება;
- სკრინინგის განცხადებაში მოცემულია ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაცია, კერძოთ დოკუმენტი წარმოდგენილია დაგეგმილი საქმიანობის შესახებ, თუმცა ამასთანავე ვკითხულობთ, რომ სვეტი დამონტაჟებულია ბენზინგასამართი სადგურის გადახურული ფარდულის ქვეშ და დაკავშირებულია პლასტიკის მილებით საწვავის ავზებთან, რეზერვუარები განთავსებულია მიწის ქვეშ, ბენზინგასამართ სადგურზე განლაგებული ნაგვის ურნები დასტიკერებულია, საწარმოს მუშაობის პროცესში ხმაურის გავრცელების დონეების გადაჭარბება არ არის დაფიქსირებული, და სხვა. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს უკვე მოწყობილია თუ არა ავტოგასამართი სადგური. ასევე აღსანიშნავია, რომ დაგეგმილი საქმიანობის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იყოს ტერიტორიაზე არსებული მდგომარეობის გათვალისწინებით;
- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მე-6 ნაწილით განსაზღვრული კრიტერიუმების შესაბამისად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამინისტრო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მას შემდეგ, რაც წარმოდგენილი იქნება სრულყოფილი სკრინინგის განცხადება ზემოაღნიშნული შენიშვნების გათვალისწინებით.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე